ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

სატენდერო დოკუმენტაცია

<u>გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით</u>
<u>საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის №1381 განკარგულებით გამოყოფილი თანხით</u>
<u>ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბაზრისწყლის ორივე მხარეს ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობის</u>
<u>სამუშაოები (ნარჩენი) სამუშაოების შესყიდვის შესახებ</u>

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად

ქ. ოზურგეთი

2017 წელი

ნაწილი _ 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.1. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ(ებ)მა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 26Წ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს (ამონარიდი ბრძანებიდან თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციას).

2. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია აუცილებლობას წარმოადგენს წარმოდგენილი იქნეს პირის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციაც დამოწმებული, ამისათვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საელჩო, საკონსულო და/ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო).
3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება).
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
5. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
6. სატენდერო წინადადება, სატენდერო წინადადების ცხრილები და დანართები უნდა მომზადდეს შესაბამისი ფორმის გამოყენებით, რომელიც წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციით. ფორმები უნდა შეივსოს ტექსტის გადაკეთების გარეშე, თითოეული ცარიელი ადგილი უნდა შეივსოს მოთხოვნილი ინფორმაციით.
7. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვა შესაძლო ხარჯების გათვალისწინებით.

ნაწილი _ 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა (პრეტედენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტები:

№	**წარმოსადგენი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტების ჩამონათვალი**		
1	ინფორმაცია საგარანტიო პირობების შესახებ	დანართი №1	
2	ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია	დანართი №2	მოითხოვება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის
3	ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში მონაწილე ძირითადი სპეციალისტების გამოცდილების შესახებ	ცხრილი №1	
4	ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ უკანასკნელი 3 (სამი) წლისა და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამოცდილების შესახებ	ცხრილი №2	
5	ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ	ცხრილი №3	

2. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა (პრეტედენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

2.1 იურიდიული პირისთვის

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

2.2 ინდივიდუალური მეწარმისთვის

• პირადობის მოწმობის ან აიდი ბარათის ან პასპორტის ასლი;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

2.3 ფიზიკური პირისთვის

• პირადობის მოწმობის ან აიდი ბარათის ან პასპორტის ასლი;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

2.3 ამხანაგობისთვის

ამხანაგობაში მონაწილე თითოეული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

• **იურიდიული პირისათვის:**

○ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

○ ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

○ ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

• **ფიზიკური პირისთვის ან ინდივიდუალური მეწარმისთვის:**
○ პირადობის მოწმობის ან აიდი ბარათის ან პასპორტის ასლი;
○ ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

• არარეზიდენტმა პირებმა (როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა და ინდივიდუალურმა მეწარმეებმა) უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ლეგალიზებული (აპოსტილით დამოწმებული) ფორმით, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.4 არარეზიდენტი პირისთვის
არარეზიდენტმა პირებმა (როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა და ინდივიდუალურმა მეწარმეებმა) უნდა წარმოადგინონ 4.1 და 4.2 პუნქტებში მითითებული თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ლეგალიზებული (აპოსტილით დამოწმებული) ფორმით, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.5 წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის
2.1, 2.2, 2.3 პუნქტებში მითითებული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (იურიდიული ფორმის შესაბამისად).

2.6 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, შემსყიდველი ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

3. წარმოსადგენი ტექნიკური დოკუმენტაცია:

3.1 <u>ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ წარმოდგენილი ძირითადი სპეციალისტების შესახებ</u>

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ წარმოდგენილი ძირითადი სპეციალისტებიდან 2 პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტექნიკური განათლება და ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების (ახალი შენობის აგება/შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები) შესრულების არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.

ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ცხრილი №1 შესაბამისად.

№	დაკავებული თანამდებობა	სახელი, გვარი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება	ბიოგრაციული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით)
1	2	3	4	5	6

<u>**შენიშვნა:**</u> საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება.

3.2 <u>ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილების მსურველ პირის მიერ უკანასკნელი 3 (სამი) წლისა და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამოცდილების შესახებ</u>

შესყიდვაში მონაწილების მსურველ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2014წ, 2015წ, 2016წ) და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული/დასრულებული უნდა ჰქონდეს, ასევე მიმდინარე ხელშეკრულებების ფარგლებში ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესრულების აქტით (ფორმა **№2**) შემსყიდველის მიერ დადასტურებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 700 000 (შვიდასიათასი) ლარის ოდენობით.

უშუალოდ შეყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს სამუშაოების საერთო გამოცდილების არანაკლებ 60%-ისა.

ამასთან, ამავე პერიოდში, შესყიდვაში მონაწილების მსურველ პირს, ქვე-კონტრაქტორის გარეშე, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაო (ნაპირსამაგრი სამუშაოები), ღირებულებით არანაკლებ 200 000 (ორასიათასი) ლარის ოდენობით.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა), მიმდინარე ხელშეკრულებების ფარგლებში ხელშეკრულებისა და ფორმა №2-ის ასლები. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ცხრილი №2-ის შესაბამისად.

ცხრილი №2 - ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ უკანასკნელი 3 (სამი) წლისა და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამოცდილების შესახებ						
№	**სამუშაოების დასახელება (თითოეული ხელშეკრულების დასახელებით)**	**შემსყიდველის დასახელება**	**შემსყიდველის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)**	**ხელშეკრულების მოქმედების ვადები**	**სახელშეკრულებო ღირებულება**	**ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება**
1						
2						
და ა.შ.						

შენიშნვა: საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება და ასევე მოითხოვოს მიმწოდებლისაგან შესაბამისი გადახდის დოკუმენტების წარმოდგენა.

3.3. <u>ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ</u>

ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი უნდა იქნას ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი, შესასრულებელი სამუშაოების დასახელება შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება და ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება; ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიქტებზე ხელშეკრულებების ასლები და სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები–სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე. ქვე-კონტრაქტორი უნდა აკმაყოფილებდეს იგივე საკვალიფიკაციო მონაცემებს, რაც პრეტენდენტს მოეთხოვება სატენდერო დოკუმენტაციით. ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%-ს.

ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნა ცხრილი №3-ის შესაბამისად.

ცხრილი №3 - ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ			
ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	**შესასრულებელი სამუშაოების დასახელება**	**შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება**	**ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება**

3.4 იმ შემთხვევაში თუ შესყიდვაში მონაწილეობს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანია ან მისი ფილიალი, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, ბოლო სამი წლის ბრუნვა, მანქანა მექანიზმებს ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში ფილიალი ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემები. კერძოდ:

3.4.1 სათაო კომპანიის ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების გამოყენების შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მ/ჩ აქტები, დადასტურებული ა/ფაქტურები, სამუშაოების დასრულების სერთიფიკატები ან სხვა ანალოგიური დოკუმენტაცია).

3.4.2 სათაო კომპანიის საკუთრებაში არსებული მანქანა-მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა ანალოგიური დოკუმენტები).

3.4.3 სათაო კომპანიის ბოლო 3 (სამი) წლის საშუალო სამშენებლო ბრუნვის გამოყენების შემთხვევაში, პრეტენდენტმა ერთობლივად უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია როგორც ფილიალის, ასევე სათაო კომპანიის შესაბამისი სამუშაოების შესახებ, ცხრილი №5-ის შესაბამისად.

3.4.4 სათაო კომპანიიდან მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, ისინი სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის შესაბამის ქვეყანაში, რომლითაც დადასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა.

3.4.5 უცხოურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას ასევე უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

3.5 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების გათვალისწინებით, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და წარმოადგინოს **სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა.** იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", პრეტედენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმახოციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას).

3.6 სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე):

3.6.1. ფასების ცხრილი-ის (ხარჯთაღრიცხვა) არ წარმოდგენის ან მისი განუფასებლად წარმოუდგენლობის შემთხვევაში;

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1 სატენდერო წინადადების საერთო ფასი გამოხატული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.3 ანგარიშწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის, ფორმა №2-ის (შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი აქტის - ფორმა N2-ის ფორმა თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციას), შესაბამისად, სამუშაოების შესრულების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 სამუშაოების დასრულებისას კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების საბოლოო აქტი და მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნა გაცემული **სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.** იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”, პრეტედენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმახოციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერტფიკატი (კრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას).

5. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

5.1 ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული (დანართი №3-ის შესაბამისად).

5.2 პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ზე მეტი ოდენობით სხვაობისას, პრეტენდენტმა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია უნდა წარმოადგინოს სახელშეკრულებო ღირებულების 7%-ის ოდენობით.

5.3 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადას.

ნაწილი _3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

3.1. შესყიდვის ობიექტია ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბაზრისწყლის ორივე მხარეს ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობის სამუშაოები (ნარჩენი).

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 223 540 ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით.

CPVკოდი: 45244200 - ჯებირები.

3.2 სამუშაოთა შესრულების ვადები

ქალაქ ოზურგეთში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან: 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

1) პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება „მიმწოდებლმა“ უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში, რაზედაც შემდგომ უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი და მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული **სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.** იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”, პრეტედენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმახოციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერტიფიკატი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას). შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტების შერჩევა და მისი ხარჯების ანაზღაურება მოხდება „მიმწოდებლის“ მიერ

3.3 ზემოხსენებული ეტაპების მიხედვით გაწერილ მოთხოვნათა დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ დაჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ით, მაგრამ ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში „შემსყიდველი“

უფლებამოსილია შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ რაც გამოიწვევს „მიმწოდებლის“ დაჯარიმებას ხელშეკრულების ღირებულების 10%-ით. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

3.4 სამუშაოთა შემადგენლობა

სამუშაოთა შემადგენლობა მოცემულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში

ნაწილი _ 4. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს ტენდერში გამარჯვებულ პრეტედენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ქ. ოზურგეთი **„.....“ „.....“ 2017 წელი**

ერთის მხრივ, **ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის, ბეგლარ სიორიძის სახით და მეორეს მხრივ, …..... (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ... სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექრტონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თვმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების და „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, განხორციელებული ელექტრონული ტენდერის (DAP.....) ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბაზრისწყლის ორივე მხარეს ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობის სამუშაოები (ნარჩენი) სამუშაოების (CPV კოდი: 45244200 - ჯებირები) შესყიდვა, წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 შესასრულებელი სამუშაოს მთლიანი, ჯამური ღირებულება შეადგენს: ..... (.....) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და **სამუშაოების ჩატარების პერიოდში** კომუნალურ გადასახადებს (მოხმარებული ელექტროენერგია, წყალი, გაზი).

2.3 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში შესრულებული სამუშაოს მიღების შემდეგ, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 ანგარიშწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის, ფორმა №2–ის, შესაბამისად, სამუშაოების შესრულების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.5 მიმწოდებლის მიერ სათანადო წერილობით თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად, წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.6 გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.7 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშერულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელი მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.8 ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის საგარანტიოდ გათვალისწინებულია შესასრულებელი სამუშაოების მიღებიდან (შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) არანაკლებ 3 (სამი) წელი. აღნიშნულ პერიოდში რაიმე დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში საგარანტიო ვადის გასვლამდე მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი დეფექტის აღმოფხვრა.

2.9 სამუშაოების დასრულებისას კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების საბოლოო აქტი და მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნა გაცემული **სსიპ „ლევან**

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”, პრეტედენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმახოციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერტიფიკატი (კრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას).

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2) წარმოდგენა, ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად.

3.1.1 შესრულებული სამუშაოების აქტი წარმოდგენილი უნდა იყოს შემსყიდველის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად; აღნიშნული ფორმა თან ერთვის ხელშეკრულებას.

3.2 სამუშაოს დაწყების ვადა აითვლება ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან და უნდა დასრულდეს 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება–ჩაბარების წესი

4.1 შესასრულებელი სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიღების აქტის (ფორმა №2) წარმოდგენის შემდეგ.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღებას ახორციელებენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაოს მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება–ჩაბარების აქტს.

4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ტექნიკური პირობების, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების შესაბამისად და შემსყიდველის შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 <u>„შემსყიდველი“ ვალდებულია:</u>

6.1.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

6.1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

6.1.4 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.2 <u>„შემსყიდველი“ უფლებამოსილია:</u>

6.2.1 საბოლოოდ მიღებისას შემსყიდველი უფლებამოსილია შექმნას სპეციალური კომისია ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების მიზნით.

6.2.2 „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;

6.2.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან _ შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ აუნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს;

6.2.4 „მიმწოდებელის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.2.5 დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს შემოწმება;

6.2.6 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს შესრულებული სამუშაოს შესახებ დადგენილი ფორმის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3 <u>„მიმწოდებელი“ვალდებულია:</u>

6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით შეასრულოს სამუშაო;

6.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

6.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლისა და დეფექტის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია შესრულებული სამუშაოებიდან;

6.3.4 სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

6.3.5 ფარული სამუშაოები აწარმოოს ინსპექტირების ჯგუფის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე წერილობით და/ან სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ;

6.3.6 აწარმოოს სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გამოცდები, გააფორმოს საერთო და სპეციალური სამუშაოების წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;

6.3.7 სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ. მიმწოდებელი პასუხისმგებელია აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს;

6.3.8 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

6.3.9 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;

6.3.10 სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაოს შესახებ შესაბამისი პირვანდელი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება–ჩაბარების აქტი;

6.3.11 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

6.3.12 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში ქვეკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად. შემსყიდველი უფლებამოსილია არგუმენტირებული უარი განაცხადოს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ქვეკონტრაქტის დადებაზე.

6.3.13 სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70 % დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით.

6.3.14 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

6.4 <u>„მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:</u>

6.4.1 „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება;

6.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოების განსახორციელებლად ყველა საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მიწოდება.

7. უფლებების გადაცემა

7.1 „მიმწოდებელს“ არა აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი. მოცემულ შემთხვევაში მესამე პირი უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერით გათვალისწინებულ იმ მოთხოვნებს, რომელიც დააკმაყოფილა „მიმწოდებელმა“.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი

მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყონებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს უპირობო საბანკო გარანტია, გაცემული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადას არანაკლებ 60 კალენდარული დღით. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღოს შესაბამისი თანხა.

9.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

9.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.

9.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9.7 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შემსყიდველისათვის ჩატარებული სამუშაოები შეესაბამება ტექნიკური დავალების, სამუშაოს ტექნიკური სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციას.

9.8 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მოწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადების გაზრდის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დროით გაგრძელებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია.

10. შესრულებული სამუშაოს შესრულების საგარანტიო პირობები

10.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 (სამი) წელს, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული დეფექტი გამოწვეულია „მიმწოდებლის“ მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, 30 (ოცდაათი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოები. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ით. საგარანტიო პირობების შეუსრულებლობა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკისრებული ვალდებულებისაგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1 ფორს–მაჟორული პირობების გარდა, „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გეგმა-გრაფიკის ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%–ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

11.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადის ამოწურვის შემდეგ, თუკი სრულად არ იქნება შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, დამრღვევი მხარე დაჯარიმდება ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის სახელშეკრულებო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

11.4 **ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში,** „მიმწოდებელს“ დაეკისრება ჯარიმა ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით.

11.5 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%–ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.7 „შემსყიდველი“ უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „მიმწოდებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე, დაკისრებული ჯარიმის სრულ დაფარვამდე.

11.8 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.9 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

12. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

12.1 ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

12.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათვისუფლებს მხარეებს ვალდებულებების შესრულებისგან.

12.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა, ან ამოიწურა გარანტიის მოქმედების ვადა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია;

ვ) სამუშოთა შესრულების ვადები დაირღვა 15 დღეზე მეტი ვადით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (სტიქიური უბედურება, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი, საომარი მოქმედებები და საზოგადოებრივი არეულობა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, საქონლის მიწოდება ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, ცვლილებები კანონმდებლობაში და სხვა) ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს

შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობისა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გატვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

14. დავების გადაწვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ საქართველოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

15.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.

15.3 ინსპექტირება განხორცილედება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

15.4 „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს შესრულებული ან/და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლი.

15.5 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

15.6 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

15.7 ინსპექტირების ჯგუფი სამუშაოების ადგილას, პერიოდულად, სამუშაოების მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ჩაატარებს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას, რომელიც გულისხმობს შესრულებული სამუშაოს მოცულობის და ხარისხის კონტროლს.

15.8 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ სამუშაოს ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს „შემსყიდველის“ მიერ დადასტურებული აქტი.

16. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

17. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

17.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

17.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს

„მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

17.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

18. შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. დასკვნითი დებულებანი

19.1 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

19.2 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით, ხელშეკრულების დანართის გაფორმების შედეგად.

19.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ..... წლის …….. მდე.

19.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

20. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“	„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი“

ნაწილი _ 5. დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან:

მარინა დათუნაშვილი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

საკონტაქტო ტელეფონი: +995 577 477 317. E-Mail: oz.meria.sheskidvebi@gmail.com

საგარანტიო პირობები საექსპლუატაციო პერიოდში

პრეტენდენტის დასახელება _____

შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო პერიოდი მოიცავს საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელს.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____
(ხელმომწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

<u>შენიშვნა:</u> შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 (სამი) წელს. საგარანტიო ვადის გასვლამდე რაიმე დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინებიდან უმოკლეს მაქსიმუმ 30 (ოცდაათი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებით გამოწვეული ნაკლოვანებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაჯარიმდება „ხელშეკრულების“ ღირებულების 0,02%-ით. საგარანტიო პირობების შეუსრულებლობა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკისრებული ვალდებულებისაგან.

დანართი №2

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(უპირობო საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ_____(შემდგომში – „მიმწოდებელი")

(მიმწოდებლის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

_____

(კონკურსის დასახელება)

კონკურსში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია.

ამასთან, დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე

მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

ამონარიდი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-დან:

მუხლი 266 . სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების განსხვავებული წესი.

1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის მიზნით, ტენდერი ჩაატაროს ამ მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, პრეტენდენტს უფლება აქვს, ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით. ამავდროულად, სატენდერო წინადადების ფასის შემცირებასთან ერთად, პრეტენდენტი ვალდებულია, სისტემის სპეციალურად საამისოდ განკუთვნილ ველში ატვირთოს შეცვლილი ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (განფასება). ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები არ იმართება.

3. დაუშვებელია სატენდერო წინადადების ფასის ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითება, ასევე ხარჯთაღრიცხვის (განფასების) სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის ველში ატვირთვა. ხარჯთაღრიცხვა (განფასებას) უნდა აიტვირთოს სისტემის სპეციალურად საამისოდ განკუთვნილ ველში. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს სატენდერო წინადადების ფასს ან/და ატვირთავს ხარჯთაღრიცხვას (განფასებას) სისტემის ტექნიკური დოკუმენტაციის ველში, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. პრეტენდენტი ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭების ეტაპზე, სატენდერო წინადადებასთან ერთად, სისტემის მეშვეობით ასევე წარადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში).

5. ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე საჯარო ხდება მხოლოდ პრეტენდენტების ვინაობა, მათი ტექნიკური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვის (განფასების) გარდა) და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში). ყველა პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციისა (ხარჯთაღრიცხვის (განფასების) გარდა) და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (მათი არსებობის შემთხვევაში), ასევე შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (მათი არსებობის შემთხვევაში) შეფასების დასრულებისთანავე საჯარო ხდება მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა (განფასება), ხოლო სხვა პრეტენდენტების სატენდერო წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა (განფასება) საჯარო ხდება მხოლოდ ტენდერისთვის სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“ მინიჭების შემთხვევაში, სტატუსის მინიჭებისთანავე.

6. ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, სატენდერო კომისია ვალდებულია, შეაფასოს ყველა პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში). ამ პუნქტში მითითებული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი.

7. პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8. სატენდერო კომისია პრეტენდენტ(ებ)ს მიმართავს ტექნიკური დოკუმენტაციის ან/და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (მათი არსებობის შემთხვევაში) დაზუსტების მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი/ისინი არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას, რომლის/რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის ან/და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (მათი არსებობის შემთხვევაში) არსებით ცვლილებას. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებლის ან/და მოდელის შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის პრეტენდენტ(ებ)ს განესაზღვრება(თ) არაუმეტეს 3 სამუშაო დღე.

9. სატენდერო კომისია პრეტენდენტ(ებ)ის დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას აფასებს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუმეტეს 5 სამუშაო

დღეში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი.

10. პრეტენდენტი, რომელიც არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას დადგენილ ვადაში, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო თუ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია დაზუსტებულია არასრულყოფილად, არ შეესაბამება სატენდერო პირობებს ან დაზუსტების შედეგად არსებითად შეიცვალა ტექნიკური დოკუმენტაცია, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

11. პრეტენდენტებს შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (ასეთი მოთხოვნ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენის მოთხოვნით სატენდერო კომისიამ შეიძლება მიმართოს მხოლოდ სატენდერო წინადადების ფასისა და ხარჯთაღრიცხვის (განფასების) განსაჯაროებამდე.

12. დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია, შესყიდვის ობიექტის ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნა, დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა (განფასება) და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაზუსტებას არ ექვემდებარება.

13. პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (მათი არსებობის შემთხვევაში), ასევე შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (მათი არსებობის შემთხვევაში) შეფასების დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში, სატენდერო კომისია აფასებს ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის ხარჯთაღრიცხვის (განფასების) შესაბამისობას სატენდერო პირობებთან.

14. პრეტენდენტი, რომლის ხარჯთაღრიცხვა (განფასება) არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა ამ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტება დასაშვებია, თუ იგი არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას, რომლის დაზუსტება არ გამოიწვევს ხარჯთაღრიცხვის (განფასების) არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის სატენდერო წინადადების ფასს. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ხარჯთაღრიცხვა (განფასება), თუ იგი არ არის ატვირთული სისტემის სპეციალურად საამისოდ განკუთვნილ ველში ან სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებლის ან/და მოდელის შესახებ, ასევე არ არის ან განუფასებლადაა წარდგენილი იგი.

15. თუ ხარჯთაღრიცხვა (განფასება) ექვემდებარება დაზუსტებას და, ამასთან, სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება გათვალისწინებული არ არის, სატენდერო კომისია პრეტენდენტს ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტების მოთხოვნით მიმართავს ხელშეკრულების დასადებად მოწვევასთან ერთად. ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტებისათვის დგინდება არაუმეტეს 3 სამუშაო დღე, რომელიც ითვლება ხელშეკრულების დადებისათვის განსაზღვრულ ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაუზუსტებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის შესაბამისად, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

16. თუ ხარჯთაღრიცხვა (განფასება) შეესაბამება სატენდერო პირობებს და, ამასთან, სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება, სატენდერო კომისია პრეტენდენტს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნით მიმართავს ხარჯთაღრიცხვის (განფასების) სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენისთანავე.

17. თუ ხარჯთაღრიცხვა (განფასება) ექვემდებარება დაზუსტებას და, ამასთან, სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება, სატენდერო კომისია პრეტენდენტს ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტების მოთხოვნით მიმართავს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნასთან ერთად. დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის (განფასების) შესაბამისობა სატენდერო პირობებთან მოწმდება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის შეფასებასთან ერთად.

18. ამ მუხლის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არ დააზუსტებს ხარჯთაღრიცხვას (განფასებას), დაზუსტების შედეგად არსებითად შეცვლის მას ან/და გაზრდის სატენდერო წინადადების ფასს, ან არ წარმოადგენს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

19. სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის მიზნით ტენდერის ამ მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ჩატარების შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების გათვალისწინება სავალდებულო არ არის.

20. ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის ხარჯთაღრიცხვის (განფასების), ასევე ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენისთანავე, სატენდერო კომისია იწვევს მას ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ წესის მე-15 მუხლით განსაზღვრულ სათანადო ვადაში.

21. თუ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტი მიიღებს დისკვალიფიკაციას, სატენდერო კომისია აფასებს მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის სატენდერო წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა (განფასება) საჯარო ხდება ტენდერიდან წინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციისთანავე.

22. ამ მუხლის შესაბამისად სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება ამ წესით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.